პროლეტარეთა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 208 (11819) | ოთხშაბათი, 7 სექტემბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ერთიანი ფრონტით

სურათზე: ამხანაგები პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ფ. დ. დუმბაძე ტამბოვის ოლქის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაციის წევრთა შორის, რომელთაც მეთაურობს სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. ი. ანდრეევა. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის მესამე ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის III ყრილობის დელეგატებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩვენი სამშობლოს ყველა კომუნისტისა და მშრომელის სახელით გულითად ძმურ სალამს გითვლით თქვენ და თქვენი სახით ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ყველა წევრს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ გმირ და შრომისმოყვარე ხალხს და უურვალედ უსურვებს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის III ყრილობას დიდ წარმატებებს მუშაობაში.

მთელი მსოფლიოს კომუნისტები ვიეტნამის მშრომელთა პარტიას იცნობენ როგორც მუშათა კლასისა და მთელი ვიეტნამელი ხალხის ინტერესებისათვის მედგარ და თანმიმდევარ მებრძოლს. ეს რა იმ საქმის მემკვიდრე და ერთგული განმგრძობი, რომელიც ამ წლის წინათ დაიწყო ინდოჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ, ვიეტნამის მშრომელთა პარტია, რომელსაც საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი ხო ში მინი მეთაურობს, მთელ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი თეორიით.

თავისი მარქსისტულ-ლენინური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით ვიეტნამელმა ხალხმა შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა ეროვნულ სახალხო-დემოკრატიულ რევოლუციაში 1945 წლის აგვისტოში, შექმნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა — მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, დაიცვა საკუთარი თავისუფლება და დამოუკიდებლობა იმპერიალისტ აგრესორებთან მძიმე ომში.

ვიეტნამელმა ხალხმა, რომელსაც მშრომელთა პარტია ხელმძღვანელობს, ჩრდილოეთ ვიეტნამი — ეს ჩამორჩენილი, იმპერიალისტური ჩაგვრის შედეგად ჩახშობილი კოლონია გადააქცია სწრაფი განვითარების გზაზე მდგომი ეკონომიკისა და კულტურის ქვეყნად — მშვიდობიანი მშენებლობის მოკლე პერიოდში ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არა მარტო მოისპო ომის ღრმა ჭრილობები, არამედ მოპოვებულია დიდი წარმატებანი სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობაში. სწრაფი ტემპებით ვითარდება რესპუბლიკის სოციალისტური მრეწველობა, იზრდება და მტკიცდება ახალგაზრდა მუშათა კლასი, ფართო ფრონტით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის კოოპერირება, წლითიწლობით უმჯობესდება მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. მტკიცდება და ვითარდება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი.

თქვენი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში დიდად ახარებს საბჭოთა ადამიანებს, როგორც ვიეტნამელი ხალხის გულწრფელ და ერთგულ მეგობრებს.

ვიეტნამის მშრომელთა პარტია თანმიმდევრულად იბრძვის იმისათვის, რომ გადაჭრას ვიეტნამელი ხალხის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პრობლემა — უზრუნველყოს ქვეყნის გაერთიანება მშვიდობიანი დემოკრატიული გზით ჟენევის შეთანხმებათა შესაბამისად. მ სამართლიან ბრძოლას მხურვალედ თანაუგრძნობენ და უჭერენ ხარს მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპების ერთგული ვიეტნამის მშრომელთა პარტია მტკიცედ იბრძვის სოციალისტური ბანაკის ქვეყნების, მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის. ომძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან ერთად იგი დგას მშვიდობისათვის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ხვადასხვა სოციალისტური სისტემების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, დედამიწის ყველა ხალხს შორის მეგობრობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

თავის III ყრილობაზე ვიეტნამის მშრომელთა პარტია მოვიდა განმტკიცებული და დარაზმული, ძალღონითა და ენერგიით აღსავსე, მზად არის შეასრულოს ვიეტნამელი ხალხის წინაშე მდგომი დიდი ამოცანები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი უსურვებს ვიეტნამელ მშრომელებსა და მთელ ვიეტნამელ ხალხს ახალ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში, მშვიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე თავისი ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს სოციალიზმის მშენებელ მოძმე ვიეტნამელ ხალხს!

გაუმარჯოს ვიეტნამის მშრომელთა პარტიას — ვიეტნამელი ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და ვიეტნამელი ხალხის სამარადისო და ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობას!

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

უპატაკებენ სამშობლოს

◆ ჰიათურა, 5 სექტემბერი. (საქდესი). სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა ვადამდე შეასრულა სასაქონლო მარგანეცის გამოშვების ცხრა თვის დაგალება. ოქტომბრის ანგარიშზი გამოლეგულია ათასობით ტონა მადანი. საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს უბნებმა, რომლებსაც ხელძღვანელობენ ი. ზერეთელი, გ. გაფრინდაშვილი, ი. ჩაჩანიძე.

◆ გურჯაანის რაიონის მშრომელებმა 4 სექტემბრისათვის 101,5 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის ვადამდე 10-ით ჩაბარონ 2.000 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. (საქდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. თ. ზასიადკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ალექსანდრე თევდორეს-ძე ზასიადკო დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი
1960 წ. 6 სექტემბერი.

საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის

იმასთან დაკავშირებით, რომ ეკვადორის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ბ-ნმა ხოსე მარია ველასკო იბარამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და ეკვადორის პრეზიდენტმა ერთმანეთს გაუგზავნეს მისასალმებელი წერილები. ორივე სახელმწიფოს მეთაურები იმედს გამოთქვამენ, რომ საბჭოთა კავშირისა და ეკვადორის რესპუბლიკის ურთიერთობა განვითარდება მშვიდობისა და ურთიერთგაგების გზით, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის. (საქდესი).

მათემატიკოსთა საკავშირო თათბირი

ვილნიუსი, 5 სექტემბერი. (საქდესი). დღეს აქ გაიხსნა VI სრულიად საკავშირო თათბირი ალბათობის თეორიის, მათემატიკური სტატისტიკისა და მათი გამოყენების შესახებ რადიოტექნიკაში, წარმოების ავტომატიზაციასა და მექანიზაციაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. თათბირის მუშაობაში მონაწილეობს მოსკოვის, ლენინგრადის, ყაზანის, ტაშკენტის, კიევისა და ჩვენი ქვეყნის მათემატიკის მეცნიერების სხვა უდიდესი ცენტრების 250-მდე მეცნიერი.

თათბირი ექვს დღეს გასტანს. მოსმენილ იქნება 90-მდე მოხსენება.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით და მანქანათმშენებლობის მრეწველობის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **აბრამიშვილი** ზაქარია გრიგოლის-ძე — შემკეთებელი საამქროს ზეინკალი
2. **ივანოვი** ლევონ ბეგლიარის-ძე — ქარხნის დირექტორი
3. **ამირგულოვი** ვართან გარეგინის-ძე — მექანიკური საამქროს ხარატი
4. **ბაღდასაროვი** ვაგან ნურიჯანის-ძე — მექანიკური საამქროს უფროსი
5. **ბაღდასაროვი** მიხეილ ივანეს-ძე — საიარაღო საამქროს ზეინკალი
6. **გელაშვილი** სერგი სერგის-ძე — ქარხნის პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი
7. **თევზაძე** შალვა ანტონის-ძე — ქარხნის მთავარი ინჟინერი
8. **კვატაშიძე** ვიქტორ ნიკოლოზის-ძე — მექანიკური საამქროს მრჩანდავი
9. **კორკოტაშვილი** ვანა გიორგის-ძე — პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე
10. **მალიავსკი** იოსებ ივანეს-ძე — ენერგომექანიკური განყოფილების უფროსი
11. **მაჩაბელი** ირაკლი ელიზბარის-ძე — საიარაღო საამქროს ზეინკალი
12. **მაჩაიძე** სამსონ ილიას-ძე — სამსხმელო საამქროს უფროსი
13. **ომანიძე** შალვა ილიას-ძე — საიარაღო საამქროს ზეინკალი
14. **ოსიპოვი** სურენ ხაჩატურის-ძე — მექანიკური საამქროს უფროსი ოსტატი
15. **სიხარულიძე** ზაქარია ივანეს-ძე — სამსხმელო საამქროს მოქმედი
16. **სტეფანოვი** გიორგი მკრტიჩის-ძე — საამწყობო საამქროს ზეინკალი
17. **სტეფანოვი** ალექსანდრე ივანეს-ძე — შემკეთებელი საამქროს ოსტატი
18. **შელია** ქეთევან გრიგოლის ასული — საიარაღო საამქროს ყოფილი უფროსი — პენსიონერი
19. **შინგაზდილოვი** ავეტიკ ალექსანდრეს-ძე — საამწყობო საამქროს მუშა-სარაჯი
20. **წიკორიძე** ნიკოლოზ იასონის-ძე — სამსხმელო საამქროს მეყალიბე
21. **ჯანფოლადოვი** სმბატ ეგის-ძე — ტექნიკური განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1960 წლის 6 სექტემბერი.

ზორის ზორეზი და ქანეზა ვერმერში მოსკოვში

საბჭოთა კავშირის სამხრეთში გატარებული დასვენების შემდეგ 5 სექტემბერს მოსკოვს ჩამოვიდნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხ. მორის ტორეზი და მისი მეუღლე. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხ. ჟანეტა ვერმერში ვაუთუთურ.

კურსკის ვაგზალზე ამხანაგ მ. ტორეზსა და ამხანაგ ჟ. ვერმერშს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ა. სუსლოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ვ. პ. ტერეშკინი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები. (საქდესი).

ჩემი რესპუბლიკის დღე

ტყისა და გაღის შეფი

სტალინირი. (საქ. კორ.). ტყე და ბაღი! უკეთესი რა უნდა იყოს. ნაყოფიც არის, ჩრდილიც, საღი ჰაერიც, წყალიც, ასე ფიქრობდნენ ძარწემელი, ვანათელი, ქემერტელი კოლმეურნეები, როცა რამდენიმე წლის წინათ ტყეებში ვაშლის კულტურული ჯიშების მყნობას შეუდგნენ. და აი ახლა ტყეს ვაშლის სურნელი მოედო. მწიფდება ვაშლი, მსხალი. 10 ჰექტარი ტყე-ბაღი აქვს ძარწემის კოლმეურნეობას. ვაშლი უხვად შემოდის ქემერტისა და ვანათის ტყეებში. მალე ნაყოფის კრეფა დაიწყება და ტყეში დამკრახული ხილი მშრომელის სუფრას დაამშვენებს.

ტყე-ბაღების გაშენებაში ფართოდ ჩაება ახალგაზრდობა. წელს სამხრეთ ოსეთის კომკავშირულმა ორგანიზაციამ ტყეებში 150 ათასი ძირი ვაშლი და მსხალი დაამყნო. კოლმეურნეობებში შექმნილია ახალგაზრდობის სპეციალური ბრიგადები, რომლებიც ტყე-ბაღებს მეთვალყურეობენ. დიდი დრო არ გავა და სოფლების ახლო-მახლო მდებარე ტყეები ნაყოფის მომცემ ბაღებად იქცევიან.

ხალხური ტალანტები სცენაზე

8 სექტემბრიდან ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში იწყება მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების ადგილობრივი დათვალიერება, რომელიც 10 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

დათვალიერების მიზანია შერჩეულ იქნას საუკეთესო მხატვრული კოლექტივები — მომღერლები, მოცეკვავეები, ინსტრუმენტებზე დამკვრელები, აგრეთვე ხალხური მთქმელები, მხატვრული სიტყვის ოსტატები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მხატვრული თვითმოქმედების IX რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე.

მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების ადგილობრივი დათვალიერება იწყება ახალციხის, ზესტაფონის, ხაშურის, კასპის, გორის, სიღნაღის, წითელწყაროს, ჩოხატაურისა და სხვა რაიონებში.



გუშინ ჩაის პლანტაციებში

◆ **მახარაძე.** რაიონის მშრომელებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. 6 სექტემბრისათვის მოკრიფეს და ჩაბარეს 30 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“.

სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიემ ც. მიმინოშვილმა გუშინ 82 კილოგრამი ჩაის ნედლეული მისცა სამშობლოს, სოციალისტური შრომის გმირმა ტ. ჩხაიძემ სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში — 66, ლ. მაღულარიამ სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოში“—60, ახალგაზრდა მეჩაიე ნოვატორმა ნ. გოგატაძემ სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში — 58 კილოგრამი.

◆ **ბათუმი.** სოფელ გონიოს მეჩაიე ფ. ბარამიძემ, რომელმაც 2.000 კილოგრამის გადაჭარბებით შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა, გუშინ 58 კილოგრამი ჩაი მოკრიფა. ამავე კოლმეურნეობაში ნ. ბარამიძემ — 50, დ. თურმანიძემ სოფელ ხელვაჩაურის კოლმეურნეობაში — 50, ე. ასამბაძემ სოფელ თხინლარის გორკის სახელობის კოლმეურნეობაში — 57 კილოგრამი.

◆ **ფუალეტუბო.** დღეისათვის ვალდებულების ანგარიშში უკვე მოიკრიფა და ჩაბარდა მრეწველობას 168 ტონა ნედლეული. სოფელ ცხუნკურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც რაიონში ყველაზე ადრე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება, ვალდებულებით ნაკისრი 40 ტონის ნაცვლად უკვე მოკრიფა 41 ტონა ჩაი.

სურათზე: მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის კოლმეურნეობის ახალგაზრდულ-კომკავშირული რგოლის წევრი მარგარიტა სალუქვაძე. მან ნაცვლად 2.500 კილოგრამისა მოკრიფა 2.900 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სოფელ გუმბრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ნ. გურგშიძემ ერთ დღეს მოკრიფა 55 კილოგრამი ჩაი, სულ დღემდე მოკრეფილი აქვს 6 ტონაზე მეტი. სოფელ რიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ა. ხურციძემ, რომელიც 0,5 ჰექტარზე 7,5 ტონა ნედლეულისათვის იბრძვის, მოკრიფა 65 კილოგრამი, დღეისათვის სულ მოკრეფილი აქვს 6.504 კილოგრამი.

• • •

მიღება საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში

ხუთი დღეა, რაც საქართველოში სტუმრად არის ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული სასოფლო-სამეურნეო არტელის — ტამბოვის ოლქის მიჩურინის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. ანდრეევა (დელეგაციის ხელმძღვანელი), პარტიის მიჩურინის რაიკომის მდივანი ლ. შადრინა, კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ვ. მილოვანოვი, ზოოტექნიკოსი ლ. აკულინინა, სარძეო-სახაქონლო ფერმის გამგე ნ. ულანოვი, მწველავი ნ. ჟოლტიკოვა, მეცხოველეები ა. კონიაევა, ვ. ტუროვცევი და გაზეთ „ტამბოვსკაია პრავდის“ განყოფილების გამგე ი. ტრუბინინოვი.

ტამბოველი სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საქმიანობას, რომელთანაც ისინი შეეხვნენ ბაში არიან ჩამბულნი, მონაწილეობა მიიღეს სამგორის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირში. დელეგაცია გაემგზავრა გორს, სადაც ინახულა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, იყო ბორჯომში, ბაკურიანში, თელავში, წინანდლის ლენინის ორდენოსან მეღვინეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში.

6 სექტემბერს კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა პ. კოვანოვმა, გ. ქადაგიძემ, ფ. დუმბაძემ.

ამხ. პ. კოვანოვმა გააცნო მათ საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობა, უამბო რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლაზე სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის იმ პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა.

დელეგაციის წევრებს სამახსოვრო საჩუქრები მიართვეს. (საქდესი).

დიდი ზრდამითი წარმატება

საქართველოს კპ თიანეთის რაიკომის მდივანს
ამხანაგ დ. ს. გონჯილაშვილს

თიანეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს
ამხანაგ ნ. მ. მგელიაშვილს

საქართველოს ალკკ თიანეთის რაიკომის მდივანს
ამხანაგ შ. ტ. ჭინჭარაულს

თიანეთის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 108,6 პროცენტით, კვერცხის — 100,2 პროცენტით და მატყლის მიყიდვის წლიური ვალდებულების 104,1 პროცენტით შესრულებაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში თქვენ მიერ მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციული და ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ თქვენ მიერ ნაკისრი ვალდებულებანი 1960 წელს ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების დარგში წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

საქართველოს კპ ოჩამჩირის რაიკომის მდივანს
ამხანაგ შ. მ. შაკაიას

ოჩამჩირის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს
ამხანაგ ი. გ. ამიჩბას

საქართველოს ალკკ ოჩამჩირის რაიკომის მდივანს
ამხანაგ ბ. ვ. აღლეიბას

ოჩამჩირის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის წლიური გეგმის 100 პროცენტით, ხორცისა — 100 პროცენტით, დაფნის ფოთლისა — 150 პროცენტით და კურკოვანი ხილისა — 128 პროცენტით შესრულებაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია „კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციული და ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ 1960 წელს თქვენ მიერ ნაკისრი ვალდებულებანი ჩაის, სახოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების, სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების დარგში წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

ნაცადი, შემოქმედებითი გზით

საუბარი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორთან, საქართველოს სახალხო არტისტ დ. ანთაძესთან

◆

ჩვენს თეატრს წელს მეტად ნაყოფიერი თეატრალური ზაფხული ჰქონდა. მოსკოვსა და კიევში თითქმის ორმოცდაათი სპექტაკლი ვაჩვენეთ. არ გვაკლდა არც მაყურებელი, არც მეგობრული სითბო და არც შემოქმედებითი აღფრთოვანება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ საკუთარმა ჭერმა თუ მაყურებელმა ნამდვილად დიდი მონატრება იცის. თუმცა ალბათ მაყურებელსაც მოენატრა ჩვენი სპექტაკლები...

სამი-ოთხი დღეც, და ფარდა აიხდება. რუსთაველელები თავიანთ ახალ თეატრალურ წელიწადს 10 სექტემბერს დაიწყებენ. ბევრს ალბათ უკვე ჯიბეში აქვს ბილეთები. თეატრში კი ამჟამად, როგორც იტყვიან, გახურებული რეპეტიციებია. ერთი სიტყვით, თეატრი მაყურებელთან შესახვედრად ემზადება, მაყურებელი კი — თეატრისათვის. ნამდვილად ბევრი რამ არის დამოკიდებული ამ პირველ შეხვედრაზე.

ამ შეხვედრას 10 სექტემბერს „ბახტრიონით“ დავიწყებთ. დავით გაჩეჩილაძის „ბახტრიონი“ (ვაჟა-ფშაველას მიხედვით) თეატრის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია (დადგმა დ. ალექსიძისა, მხატვარი ფ. ლაპიაშვილი). ამ სპექტაკლს მეტად კარგი წარმატება ხვდა როგორც მოსკოვში, ისე კიევში. „ბახტრიონს“ მოჰყვება ჩვენი წინანდელი საუკეთესო დადგმები: შექსპირის „ჰამლეტი“, კოტოტის „როცა ასეთი სიყვარულია“, ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა“, არბუზოვის „ისიხი შეხვდნენ ერთმანეთს“ (ირკუტსკის ისტორია)...

ჩვეულებრივ ამბობენ ხოლმე, ერთი თეატრალური წელიწადი უეჭველად უნდა სჯობდეს მეორესო. მაგრამ წლევანდელი სეზონი განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა რუსთაველელებისათვის. თეატრი უკვე კარგა ხანია ემზადება ჩვენი ეროვნული დღესასწაულის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლისთავისათვის. მწერალმა სერგო კლდიაშვილმა თეატრს უკვე ჩაბარა თავისი დრამა „მყუდრო სავანე“, რომელსაც სიუჟეტურად ალბათ ბევრი იცნობს ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. „მყუდრო სავანეზე“ მუშაობს ახალგაზრდა რეჟისორი რ. მირცხულავა. თეატრმა დასადგმელად მიიღო გრიგოლ აბაშიძის ახალი, მეტად ორიგინალური პიესა „მოგზაურობა სამ-დროში“. რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილს პიესა დასადგმელად თითქმის უკვე დამუშავებული აქვს. თეატრი დიდ იმედებს ამყარებს ამ სპექტაკლზე.

ჩვენი ინტერვიუ

„მყუდრო სავანესა“ და „მოგზაურობას სამ დროში“ მაყურებელი წლის ბოლომდე ნახავს. ამ დიდ თარიღთან დაკავშირებით თავიანთ ახალ პიესებს შეგვპირდნენ დრამატურგები მ. მრევლიშვილი, გ. შატბერაშვილი და სხვ.

ახალ სპექტაკლებთან ერთად ორმოცი წლისთავისათვის აღვადგენთ ცალკეულ სიტუაციებს — კოტე მარჯანიშვილის „ცხვრის წყაროს“, რომელიც ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი პირველი, საწყისი სპექტაკლია, და სანდრო ახმეტელის „ყაჩაღებს“. განზრახული გვაქვს აგრეთვე მაყურებელს კვლავ ვუჩვენოთ ჩვენი ძველი საუკეთესო დადგმები — ვ. დარასელის „ეკვეიძე“ და მ. მრევლიშვილის „ნ. ბარათაშვილი“.

ასეთია მოკლედ ჩვენი ფიქრები და გეგმები. იმედია, ქართული დრამატურგები შექმნიან ჩვენს თანამედროვეობაზე ახალ მძაფრ, მაღალმხატვრულ ნაწარმოებს, რომლებსაც თეატრი კვლავ სიიმოვნებით მოჰკიდებს ხელს. ახალი სპექტაკლით კი ყველა კმაყოფილი უნდა დარჩეს — მაყურებელიც, თეატრიც და დრამატურგიც. ეს ძველთაძველი, დაუბერებელი ჭეშმარიტებაა.

შრომა დედაა ყოველგვარი სიკეთისა

მეგობრები ერთმანეთისგან სწავლობენ

თქვენთან ერთად, ამბობენ ჩვენ ტამბოველ ამხანაგებს!

მეგობრობა! რა ახლობელი და ძვირფასია ეს სიტყვა საბჭოთა ადამიანებისათვის. ხალხთა მეგობრობამ შეასხა ფრთები ჩვენს სახელოვან გამარჯვებებს ბრძოლისა და შრომის ფრონტებზე, ჩვენს სახელოვან წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის დიად და ნათელ გზაზე.

ამ მეგობრობის, ძმობისა და სიყვარულის ძვირფას წიგნში კიდევ ერთი ნათელი და დაუვიწყარი ფურცელი ჩასწერეს ჩვენმა სტუმრებმა — ტამბოვის ოლქის მიჩურინის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანებმა, რომლებიც პირველ სექტემბერს ჩამოვიდნენ საქართველოში, ესტუმრნენ სამგორის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობას, რომელთანაც შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი.

რა ამაღელვებელი და მგრძნობიარე შეხვედრები მოეწყო, რა საქმიანი, საუბრები გაიმართა... რამდენი ძვირფასი გამოცდილება გაუზიარეს ერთმანეთს გულითადმა მეგობრებმა.

გაზეთის ამ გვერდზე გადმოცემულია ამ მეგობრების საუბარი გულისთქმა, მათი სურვილები, შრომითი მამაცობა.

ევგენია ანდრეევა

ევგენი დანელია

დაუვიწყარი დღეები

მშობლიურმა კომუნისტურმა რომ წელს უფრო მეტი პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ აწარმოეს პროდუქტები, ვიდრე შარშან.

ჩვენი კოლმეურნეობის დელეგაცია ჩამოვიდა იმისათვის, რათა შეგვემოწმებინა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების რვა თვის შედეგები. და აი რა გამოირკვა. ჩვენი „მეტოქეები“ დაწინაურდნენ ხორცის წარმოებაში, მათ რვა თვეში ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე 56,3 ცენტნერი ხორცი აწარმოეს, ჩვენ კი — 36 ცენტნერი. სამაგიეროდ ჩვენ გავუსწარით რძის წარმოებაში. ამავე ფართობზე მათთან შედარებით 46 ცენტნერით მეტი რძე ვაწარმოეთ. როგორც საკუთარი თვალით დავრწმუნდით, ქართველ კოლმეურნეებს მდიდარი ბაზა აქვთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ამაღლებისათვის, რასაც ისინი მიზანშეწონილად იყენებენ. რაც მთავარია, კარგად იყენებენ ახალს, ნოვატორულს.

დავთვალიერეთ ჩვენთვის გამოყოფილი ვენახის ნაკვეთი, რომელსაც „მეგობრობის ნაკვეთი“ ჰქვია. სამაგიეროდ მათ საჩუქრად გადავეცით „სიმენტალის“ ჯიშის სამი უშობელი და ერთი მწარმოებელი, ამით ვეხმარებით მათ პროდუქტიული მსხვილფეხა პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებაში.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე ნორიოელ კოლმეურნეთა შრომისმოყვარეობამ. მწამს, რომ კოლმეურნეობა, რომელიც შრომაში დაუზარელი ადამიანებისაგან შედგება, პირნათლად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და კიდევ უფრო გაზრდის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას.

დელეგაციის წევრებმა დავათვალიერეთ საქართველოს ზოგიერთი ადგილი, ვიყავით საწარმოებშიც, და უნდა გითხრათ, რომ მოხიბლული ვართ თქვენი რესპუბლიკის მომაჯადოებელი ბუნებით და ამ ლამაზი ბუნების წიაღში აღზრდილი ადამიანების გულითადი მიღებით. არასოდეს არ დავიწყებთ, ჩვენო ქართველო მეგობრებო!

ე. ანდრეევა,

მიჩურინის რაიონის კომინტერნის სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ჩინებულია, კარგია!

ჩვენს კოლმეურნეობაში ხორცის წარმოების მხრივ ყველაზე დიდი ხვედრითი წონა მეღორეობას უჭირავს. ამ დარგს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. წელს უნდა გავასუქოთ და სახელმწიფოს მივაყიდოთ 4.000 ღორი 300 ტონის საერთო წონით. სახელმწიფოს მივყიდეთ — 1.500, გასასუქებლად კი ამჟამად 2.000 ღორი ჭყავს დაყენებული.

პირადათ მე დედაღორებს ვუვლი. რვა თვეში თვითეულ დედაღორზე მივიღე და შევინარჩუნე 13 გოჭი. ჩემი წარმატების „საიდუმლოება“ მოწინავეთა გამოცდილების გამოყენებაა.

ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ვნახე მეღორეობის ფერმა. შევხვდი კოლმეურნე შალვა იმერლიშვილს, რომელსაც რვა თვეში თვითეულ დედაღორზე ცამეტი გოჭი მიუღია და შეუნარჩუნებია. ეს ჩინებულია, კარგია!

კმაყოფილი ვარ ქართველ კოლმეურნეებთან ყოფნით. მტკიცეა ჩვენი მეგობრობა, იგი წინ წევს საერთო საქმეს.

ა. კონიაევა,

მეღორე.

სურათზე: ტამბოვის ოლქის მიჩურინის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. ანდრეევა ნორიოელ კოლმეურნეებთან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ჩვენი ინტერვიუ

სტუმრები მოგვითხრობენ თავიანთ შთაბეჭდილებებზე

★ ★ ★

მასების სათავეში

სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანის გადაჭრა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დავნერგავთ სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მუშაობის მოწინავე მეთოდებს.

უკანასკნელ ხანებში სოფლის მეურნეობის ბევრმა მუშაკმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია. პროდუქტების წარმოების გადიდებაში. მათი მუშაობის მდიდარი გამოცდილების გავრცელება გვეხმარება შვიდწლიანი გეგმით დასახულ ამოცანათა განხორციელებაში.

ამ საქმეს სათავეში უნდა ედგეს პირველადი პარტიული ორგანიზაცია. და თუ ნორიოს ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ფართო მხარდაჭერა ჰპოვა უკრაინელი მეღორის იაროსლავ ჩიჟისა და ქართველი მეღორის დავით სეფიაშვილის და სხვათა მუშაობის გამოცდილებამ. ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია ამ მიმართულებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევა, რაზეც ნათლად მეტყველებს მუშაობის ის პროგრესული მეთოდები, რაც მათ მეცხოველეობის ფერმებში დაუნერგავთ.

ნორიოელთა კოლმეურნეობაში ყურადღებას იპყრობს სარძევე მეურნეობა და მეღორეობის ფერმა. პირუტყვის კეთილმოწყობილი ბინები, სამუშაოთა მექანიზაცია კიდევ უფრო აადვილებს შრომას, ზრდის შრომის ნაყოფიერებას, პროდუქტიულობას. ეს კი საშუალებას აძლევს კოლმეურნეობას აწარმოოს იაფი პროდუქტები. თუ კოლმეურნეობამ მომდინარე წლის რვა თვეში 1959 წელთან შედარებით 1,5-2-ჯერ გაადიდა ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოება, ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია, სათავეში უდგას რა კოლმეურნეთა შრომითს აქტივობას, წარმატებით წყვეტს დიადი შვიდწლედის ამოცანებს:

ჩვენ ვნახეთ ვენახები, შევხვდით კოლმეურნეებს. ისინი დიდ შრომას ეწევიან ყურძნის მაღალი მოსავლის მისაღებად. სამწუხაროდ, ვაზი ჩვენში არა ხარობს, კლიმატური პირობები ხელს გვიშლის სოფლის მეურნეობის ამ შემოსავლიანი დარგის განვითარებაში, სამაგიეროდ გვაქვს მებაღეობა. კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობას ხეხილის ბაღი 267 ჰექტარზე აქვს გაშენებული და მაღალ მოსავალს იღებს.

ორი კოლმეურნეობის შეჯიბრებამ კიდევ უფრო განამტკიცა რუსი და ქართველი ხალხის ისტორიული მეგობრობა. ურთიერთ შორის მუშაობის გამოცდილების გაზიარება დიდად შეუწყობს ხელს იმ ამოცანათა გადაჭრას, რომლებიც ამ ორი კოლმეურნეობის წინაშეა დასახული.

ბევრი კარგი რამ ვნახეთ ქართველ კოლმეურნეთა მუშაობაში, ვისწავლეთ მათგან ისე, როგორც ისინი ჩვენგან სწავლობენ.

ყველგან, სადაც კი ვიყავით, გულთბილად გვხვდებოდნენ. გმადლობთ კარგი სტუმართმოყვარეობისათვის, ქართველო მეგობრებო.

ლ. შადრინა,

სკკპ მიჩურინის რაიკომის მდივანი.

ერთმანეთის მხარდამხარ

როცა საქმე მოგზაურობა გიხდება, პირველ რიგში გაინტერესებს ნახო ის, რაც დაკავშირებულია შენს პროფესიასთან. მე მეცხოველეობის მუშაკი ვარ და ამიტომ პირველ რიგში გულდასმით გავეცანი ნორიოს კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებს. ვესაუბრე ამ დარგში მომუშავე კოლმეურნეებს და იმ დასკვნამდე მივედი, რომ აქაური მეცხოველე მუშაკები სრული მონდომებით შრომობენ იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

პირუტყვის საკვების დიდი შესაძლებლობანი, კულტურული ნაგებობანი, შრომატევად სამუშაოთა ნაწილობრივი მექანიზაცია, საშუალებას აძლევს აქაურ კოლმეურნეებს შესამჩნევად გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა და შეამცირონ თვითღირებულება. ამ მიღწევებთან ერთად მათ ერთი სერიოზული ნაკლიც აქვთ. როგორც ჩანს, ქართველი მეგობრები ჯერ კიდევ ცოტას ზრუნავენ პროდუქტიული პირუტყვის ჯიშთა გაუმჯობესებისათვის. ჩემი მეგობრული რჩევაა ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ „სიმენტალის“ ჯიშის სამი უშობელი და ერთი მწარმოებელი, რომლებიც საჩუქრად გადავეცით ქართველ მეგობრებს, ხელს შეუწყობს ჯიშთა გაუმჯობესებას.

სოციალისტური შეჯიბრების მიზანიც ხომ ის არის, რომ დავეხმაროთ ერთმანეთს ნაკლოვანებათა გამოსწორებაში, ვისწავლოთ ერთმანეთისაგან, რათა საერთო საქმე უკეთესად წარიმართოს.

ნ. ულანოვი,

მერძევეობის ფერმის გამგე.

ვისწავლით, დავნერგავთ

ბევრი რამ კარგი მსმენია საქართველოს ბუნების სილამაზეზე. ქართველ კოლმეურნეებთან მეგობრობამ საშუალება მომცა უშუალოდ მენახა ამ ლამაზი ქვეყნის მოზაკვადოებელი ბუნება. თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობას ვუხდი ქართველ ხალხს ბუნებისა, ნამდვილი მეგობრული გრძნობებისათვის, რასაც ისინი იჩენდნენ ჩვენს მიმართ.

ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ბევრი რამ ახალი ვნახე, რაც ხელს უწყობს მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას და პროდუქტიულობის თვითღირებულების შემცირებას. ეს განსაკუთრებით ითქმის მერძევეობის ფერმაზე. აქ ყველა სამუშაო მექანიზებულია.

პირუტყვის დაუბმელი და ნებისმიერი ქვეშ კარგად მოუწყვიათ მეცხოველე ამხანაგებს. ყურადღებას იპყრობს პირუტყვის საწველი დარბაზის მოწყობილობა. ქართველ კოლმეურნეთა მუშაობის ამ გამოცდილებას უეჭველად დავნერგავთ ჩვენს მუშაობაში.

ლ. აკულინინა,

კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი.

მახარებს თქვენი წარმატება

ჩვენს კოლმეურნეობასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში რომ ჩაება სამგორის რაიონის სოფელ ნორიოს ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, გადავწყვიტე თვითეულ საფურაქე ძროხაზე რძის წარმოების გადიდებისათვის შეჯიბრებოდი ამ კოლმეურნეობის გამოჩენილ მწველავს სოფიო დელიბაშვილს, რომელიც მაშინ ჩვენს კოლმეურნეობაში იმყოფებოდა.

გავაფორმეთ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. მე ვიკისრე 4.000 კილოგრამი რძის მიღება თვითეულ საფურაქე ძროხაზე. და აი, ჩამოვედით ქართველ მეგობრებთან, შევჯამეთ 8 თვის შედეგი. გამოირკვა, რომ სოფიო დაწინაურდა. რვა თვეში მე ყოველ საფურაქე ძროხაზე 2.200 კილოგრამი რძე მოვწველე, სოფიომ კი— 2.500. მახარებს ქართველი მეგობრის წარმატება. წინ ჯერ კიდევ ოთხი თვე გვაქვს. ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს!

გულდასმით დავათვალიერე მეცხოველეობის ფერმები, გავეცანი მწველავთა მუშაობას. განსაკუთრებით მომეწონა სარძევე ფერმის ის ბრიგადა, სადაც ყველა სამუშაო მექანიზებულია. აქ პირუტყვს დაუბმელად, ნებისმიერ ქვეშაგენ, რაც უეჭველად ზრდის რძის წარმოებას და ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. ქართველ მეგობართა მუშაობის ამ შესანიშნავ გამოცდილებას ჩვენს მუშაობაშიც დავნერგავთ.

ნ. ველტიკოვა,

მწველავი.

ასე დაიწყო მეგობრობა

ძალაძ მიჩურინიდან არცთუ ისე დაშორებით განლაგებულია კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმები და სახნავი მიწები. ამ კოლმეურნეობის შრომელებმა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში საქვეყნოდ გაითქვეს სახელი. 1953 წელთან შედარებით ხორცის წარმოება 1959 წელს გაიზარდა დაახლოებით ორმოცჯერ, რძისა — ოთხჯერ. მიჩურინელ კოლმეურნეთა ამ თვალსაჩინო მიღწევებს მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. კოლმეურნეობა ხორცისა და რძის წარმოების გადიდების საქმეში მოპოვებული წარმატებისათვის დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით, ხოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ე. ი. ანდრეევას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სატიტო წოდება.

მიჩურინელთა ეს წარმატება შეიტყვეს სოფელ ნორიოშიც, და აი აქაურმა კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს ახლოს გასცნობოდნენ მათი მუშაობის გამოცდილებას. ნორიოელმა კოლმეურნეებმა წერილით მიმართეს კომინტერნელებს, ნორიოელი კოლმეურნეები რუს მეგობრებს სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევდნენ. მიჩურინელები სიხარულით შეხვდნენ ქართველ თანამოსაქმეთა წინადადებას. მათ შორის დიდი სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. ქართველ კოლმეურნეთა დელეგაცია ესტუმრა მიჩურინელებს. ისინი გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს. ნორიოელთა დელეგაციის წევრებმა წამოსვლისას სთხოვეს მიჩურინელებს სწვეოდნენ საქართველოში, მათაც ჩამოსვლა აღუთქვეს.

ასე დაიწყო რუს და ქართველ კოლმეურნეთა მეგობრობა.

სოციალისტური შეჯიბრებით აღებული ვალდებულების შესრულებისათვის მონდომებით მუშაობენ ნორიოელი კოლმეურნეები. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კოლმეურნეობამ წელს დიდი გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური დავალება. მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული მეურნეობის სხ[illegible] დარგებშიც.

ნორიოელები შრომაში მოპოვებულ[illegible] ახალი მიღწევებით ელოდნენ მიჩურინელ კოლმეურნეთა ჩამოსვლას.

პირველ სექტემბერს არაჩვეულებრივ[illegible] ზეიმი იყო ნორიოში. მიჩურინელ კოლ[illegible] მეურნეთა დელეგაციის შესახვედრ[illegible] მთელი სოფელი მოვიდა. ცოცხალი ყვ[illegible] ვილების თაიგულებით შეეგებნენ სტუ[illegible] რებს მასპინძლები. მიჩურინელი მწველ[illegible] ვი ნინო ულტიკოვა და ნორიოელი მწვ[illegible] ლავი სოფიო დელიბაშვილი დიდ[illegible] ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. ისინი ხომ ერ[illegible] მანეთს ეჯიბრებიან წველადობის გადა[illegible] დებაში. პირადადაც იცნობენ ერთმანეთ[illegible] ახალგაზრდობამ ცეკვა-თამაში გამართ[illegible] მოხუცებიც აიყოლიეს, სტუმრებიც ჩ[illegible] ებნენ საერთო სიმხიარულეში. მათი შე[illegible] ვედრა რუსი და ქართველი ხალხის უ[illegible] ღვევი მეგობრობის ნამდვილ ზეიმად გ[illegible] დაიქცა.

დელეგაციის წევრებმა იმავე დღეს ლ[illegible] ათვალიერეს ქოლმეურნეობის მეცხოვ[illegible] ლეობის ფერმები. ესაუბრნენ კოლმეურ[illegible] ნეებს, გაეცნენ შრომის ორგანიზაციას[illegible] ბევრი რამ მოეწონათ სტუმრებს ნორი[illegible] ელთა საქმიანობაში.

— მექანიზებული მერძევეობის ფერმა[illegible] ექსპლოატაცია წელს დაიწყო. მექანიზ[illegible] ციამ გაზარდა შრომის ნაყოფიერება, შე[illegible] ამცირა რძის თვითღირებულება, ახლ[illegible] პირუტყვს არ ვაბამთ, არც საკვებს ვუ[illegible] რით, იგი თვითონ მიდის საჭმელთან დ[illegible] ნებისმიერად იკვებება. წველაც მექან[illegible] ზებულია, — ეუბნება სტუმრებს კოლმ[illegible] ურნეობის თავმჯდომარე ე. დანელია.

მიჩურინელი კოლმეურნე მეღორე ან[illegible] კონიაევა კი მეღორეობის ფერმის მუშა[illegible] ბით დაინტერესდა. როგორ კვებავთ პირ[illegible] უტყვს? — ეკითხება იგი ფერმის გამ[illegible] გეს. მას გადასცეს, რომ ღორების კვებ[illegible] წარმოებს უკრაინელი მეღორის იაროს[illegible] ლავ ჩიჟის და ქართველი მეღორის დავი[illegible] სეფიაშვილის მაგალითისამებრ.

„მეგობრობის ნაკვეთი“ — ასე შეურ[illegible] ქმევიათ ნორიოელებს ვენახის იმ ფარ[illegible] თობისათვის, რომელიც მიჩურინელთა[illegible] ვის არის განკუთვნილი.

— რა ლამაზია ეს მტევანი, — ამბობ[illegible] პარტიაკომის მდივანი ლიდა შადრინ[illegible] და ყურძნის მტევანს ბავშვივით ეალერ[illegible] სება.

კოლმეურნეობის აგრონომს, დელეგ[illegible] ციის წევრს ვასილ მოლოვანოვს მოუს[illegible] ვენრობა ეტყობა, ცდილობს ქართულ[illegible] მიწის სიმდიდრის წყაროს ამოცნობას[illegible] კოლმეურნეობის აგრონომს კითხვას კ[illegible] თხვაზე აძლევს.

მიჩურინელთა დელეგაციის წევრებ[illegible] რამდენიმე დღე ეცნობოდნენ ჩვენი რეს[illegible] პუბლიკის სხვადასხვა რაიონების ეკონ[illegible] მიკას და ისტორიულ წარსულს. მა[illegible] ყველგან გულთბილ, ნამდვილ მეგობრულ[illegible] შეხვედრას უწყობდნენ.

ი. ბეჟაშვილი.

ქომუნისტი

მე-9 გვერდი, ოთხშაბათი, 7 სექტემბერი, 1960 წ.

საერთაშორისო ცხოვრება
ლეკციები, ცნობები, მიმოხილვა

ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრება კვლავ ყურადღების ცენტრშია

*

„ჩრდილოეთში ავაშენებთ სოციალიზმს“

— ამბობს ხო ში მინი

*

მახვილი, პარტიული ბროშურა

„არ დავუშვათ, რომ ცივი ომი საერთო კონფლიქტად იქცეს“

უცხოეთის პრესის გამოხმაურება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაში ნ. ს. ხრუშჩოვის მონაწილეობის შესახებ

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, კვლავ ფართო კომენტარს უკეთებენ საზღვარგარეთ.

კამბოჯის აქანს ქხმერ დე პრესის სააგენტომ კომენტარი გაუკეთა საბჭოთა მთავრობის ამ გადაწყვეტილებას და გაავრცელა: უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა ინიციატივა მიბაძვის ღირსია, რადგან თუ ოთელ მსოფლიოს სურს, რომ მთავარი ბრობლემები, რომლებიც მსოფლიოს გაჩენშვას იწვევენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში გადაწყდეს, სავსებით აშკარაა, რომ თანხმობის მიღწევა უფრო ადვილი იქნება, თუ ყოველი ქვეყნის ყველაზე მაღალი წარმომადგენელი პირადად ჩამოვა, რათა ჩაეოყალიბოს თავისი ქვეყნის პოზიცია.

რაც ჩვენ შეგვეხება, — განაგრძობს ააგენტო, ჩვენ რა თქმა უნდა, გვსურს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბ-ნ ხრუშჩოვის ყოფნა იყოს დასაწყისი დაძაბულობის ნამდვილი შენელებისა, რომელიც მშვიდობასა და გაინარაღებას გამოიწვევდა.

ჩვენ ყოველნაირად მივესალმებით მთავრობათა მეთაურების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე გამგზავრების იდეას, წერს **იაპონის** გაზეთი „მაინიტი“. ჩვენი სურვილია, ხაზს უსვამს გაზეთი, რომ დასავლეთის სახელმწიფოები განზე არ გადგნენ და პოვონ სიმამაცე, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე თავიანთი მეთაურები გაგზავნონ.

იაპონიის მეორე გაზეთი „ტოკიო სიმბუნი“ მოწონებულ სტატიაში წერს, რომ „საყოველთაო და სრული განიარაღების წინადადებებს, რომლებიც პრემიერმა ხრუშჩოვმა შეიტანა შარშან, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ“ და ხაზს უსვამს, რომ განიარაღების პრობლემა ამჟერადაც ასამბლეის ცენტრალური საკითხი იქნება. გაზეთი ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში თავის კორესპონდენტის სტატიაში აღნიშნავს, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების იდეის პროპაგანდას, რასაც საბჭოთა კავშირი ეწევა, მხარს უჭერს ბევრი ნეიტრალური ქვეყანა, აგრეთვე ქვეყნები, რომლებმაც დამოუკიდებლობა მიიღეს.

საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე მომავალ გამგზავრებას მხურვალედ მიესალმებიან იაპონის დემოკრატიული წრეები. „საბჭოთა მთავრობის მეთაურის მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მუშაობაში საბჭოთა კავშირის მშვიდობის მოყვარულ ღონისძიებათა ახალი დადასტურებაა. დიდი ინტერესით მოველით ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობის დაწყებას“, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს საერთაშორისო განყოფილების უფროსმა 'სუძუკიმ.

ისრაელის ყველა გაზეთი აქვეყნებს და კომენტარს უკეთებს ცნობას ხრუშჩოვის მომავალი გამგზავრების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე. გაზეთი „კოლ ჰაამი“ მიესალმება საბჭოთა მთავრობის ამ გადაწყვეტილებას და აკრიტიკებს დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების პოზიციებს მათი მასწრაფებისათვის — თავი აარიდონ სასარგებლო განხილვას.

როგორც ნიუ-იორკიდან ლეპეშით იუწყებიან, ცნობამ იმის შესახებ, რომ საბჭოთა დელეგაციას გენერალური ასამბლეის XV სესიაზე სათავეში ჩაუდგება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ეტყობა, დაარღვია შემუშავებული ტაქტიკა **ამერიკის შეერთებული შტატების** ქცევისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ სესიაზე. გაზეთ „უოლ-სტრიტ ჯორნელის“ კორესპონდენტი გიბსონი აღიარებს, კერძოდ, რომ „ხრუშჩოვის გადაწყვეტილება (ნ. ს. ხრუშჩოვის დანიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე დელეგაციის მეთაურად. — **რედ.**) აშკარად აძლევს მას ხელში დიპლომატიურ ინიციატივას. იგი, როგორც მოელიან, წამოაყენებს განიარაღების რაიმე ახალ ეფექტიან გეგმებს, რომელთაც დასავლეთი უნდა გამოეხმაუროს“.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტი ჰიგინსი ვაშინგტონიდან იუწყება, რომ იქ 3 სექტემბრიდან სასწრაფოდ შეიკრიბნენ ოფიციალური პირები, რათა მოეთათბირონ ერთმანეთის, თუ რა ღონისძიებანი განახორციელონ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი დაინიშნა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე. ტრანსატლანტიკის სატელეფონო ხაზები ვაშინგტონს, პარიზს, ლონდონსა და ნატოს მონაწილე ქვეყნების სხვა დედაქალაქებს შორის, აღნიშნავს კორესპონდენტი, ამ დღეს დაკავებული იყო იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი და სხვა მაღალი თანამდებობის ოფიციალური პირები ერთმანეთს ეთათბირებოდნენ იმის თაობაზე, თუ როგორ გამოეხმაურებოდნენ ნ. ს. ხრუშჩოვის გადაწყვეტილებას.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ, როგორც მან შეიტყო დასავლეთის პოზიცია, „პრეზიდენტი ეიზენჰაუერი თითქმის უეჭველად“ ჩავა ნიუ-იორკს გენერალური ასამბლეის სესიაზე. (საკდესი).

ა. ა. გრომიკოს წერილი

დაგ ჰამარშელდისადმი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დაგ ჰამარშელდს გაუგზავნა წერილი, რომელშიც საბჭოთა მთავრობის თავადებით სთხოვს შეიტანოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-15 სესიის დღის წესრიგში საკითხი: „ჩინეთის წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში“.

წერილს დართული აქვს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ოსახლეობის რიცხვის მიხედვით მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მოკლებულია საშუალებას მონაწილეობა მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში, ხოლო ჩინეთის ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უკავია ჩან კაი-შის ხროვას, რომელიც უარყოფ ჩინელმა ხალხმა და ამერიკელი ხიზნების დაცვით თავს აფარებს ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების მიერ ოკუპირებულ ტაივანის კუნძულზე, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია.

როგორც აღნიშნულია განმარტებითს ბარათში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის შესაძლებლობის წარმოქმნა, რომ მონაწილეობა მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში, უდიდეს ზიანს აყენებს თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და ანზიანებელოვნად ზღუდავს მის შესაძლებლობებს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების საქმეში. (საკდესი).

ტელეგრაფი გვატყობინებს

„სასურველი საჩუქარი“

ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებამ იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობამ გადწყვიტა პრეზიდენტ ურხო კენედის 60 წლისთავთან დაკავშირებით აჩუქოს ფინეთის სამედიცინო სამმართველოს სანიტარული ვერტმფრინავი, ფინეთის საზოგადოებრიობის ინტერესი გამოიწვია. გაზეთმა „ნიუა პრესენმა“ გუშინ გამოაქვეყნა საუბარი სამედიცინო სამმართველოს გენერალურ დირექტორთან ნ. პესონენთან, რომელმაც განაცხადა, რომ ხრუშჩოვის „საჩუქარი ვერტმფრინავი მეტად სასურველი საჩუქარია. ეს ვერტმფრინავი, თქვა მან, გამოყენებულ იქნება ავადმყოფთა გადასაყვანად.

წყალდიდობა ინდოეთში

პენჯაბის შტატში გრძელდება წყალდიდობა, რომელიც ძლიერმა წვიმებმა გამოიწვიეს. ქალაქი როხტაკი, რომელიც 60 კილომეტრზე მდებარეობს დელის დასავლეთით, სანახევროდ წყლით არის დაფარული. ქალაქის 40 ათასი მცხოვრები ევაკუირებულია.

ამასწინანდელმა წყალდიდობამ ორისის შტატში დიდი ზარალი მოიტანა. ოფიციალური მონაცემებით, შტატში დანგრეულია 102 ათასზე მეტი სახლი, ამასთან თითქმის 33 ათასი მოლიანად. წყალდიდობის დროს დაიღუპა 45 კაცი. წყალდიდობით დაზარალდა 2.075 ათასი კაცი. შტატის ზოგიერთი რაიონი ჯერ კიდევ წყლის ქვეშ არის. რკინიგზით მიმოსვლა მთავარი მიმართულებით ჯერ კიდევ არ აღდგენილა.

ნ. ს. ხრუშჩოვის საუზმე ს. იტონთან

საბჭოთა მეცნიერების პატივსაცემად

ნიუ-იორკი, 5 სექტემბერი. (საკდესი). თვალსაჩინო ამერიკელმა ფინანსისტმა და საზოგადო მოღვაწემ, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა საიროს იტონმა გუშინ ნიუ-იორკის სასტუმრო „ბილტმორში“ საუზმე გამართა საბჭოთა მეცნიერების პატივსაცემად, რომელნიც მონაწილეობდნენ დიდ ენერგიათა ფიზიკის მე-10 როჩესტერის (ნიუ-იორკის შტატი) კონფერენციის მუშაობაში.

ს. იტონი აპირებდა საბჭოთა მეცნიერები მიეწვია თავის სახლში კლივლენდში, მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტმა საბჭოთა მეცნიერებს არ დართო ნება კლივლენდს წასულიყვნენ.

მიესალმა რა საბჭოთა მეცნიერებს, ს. იტონმა გაუზიარა მათ მოგონებანი საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ.

„აღტაცებული ვარ ბევრი რამით, რაც თქვენს ქვეყანაში ხდება, — თქვა მან. — შეიძლება თქვენ ბევრი რამ მოგიღოთ და არც კი ვიცი, რით დავიწყო. ახლა საბჭოთა წარმომადგენლებს ჯგუფს ისე ვერ მივმართავთ, რომ არ მოვიხსენიოთ ოლიმპიური ასპარეზობა და თქვენი სპორტსმენების დიდი წარმატებანი“.

„დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე თქვენმა წარმატებებმა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, — განაგრძო ს. იტონმა. — რა თქმა უნდა, საბჭოთა წარმატებებზე სიტყვას ვერ იტყვის ადამიანი ისე, რომ არ შეაქოს თქვენი მეცნიერების ბრწყინვალე ნიჭი. თქვენი მათემატიკოსები, ფიზიკოსები და მეცნიერები, რომელნიც ყველა დარგში მუშაობენ, აღტაცებას იწვევენ მთელ მსოფლიოში. მე მჭირდა დიდი პატივი შეეხვედროდი თქვენს სახელმწიფო მოღვაწეებსა და დიპლომატებს“.

იტონმა თქვა, რომ ერთი წლის წინათ მოისმინა ნ. ს, ხრუშჩოვის სიტყვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე. „მე გადავწყვიტე, რომ ეს უდიდესი გამოსვლაა, რომელიც კი ჩემს სიცოცხლეში მომისმენია. მე მომაჩნია, რომ წინადადება სრული განიარაღების შესახებ ყველაზე მთავარი წინადადებაა როგორიც კი შეიძლება გაკეთდეს მსოფლიოში. როცა თქვენი თავმჯდომარე და თქვენი დელეგაცია ამ თვეში ნიუ-იორკს ჩამოვლენ, ამედი გვაქვს ტაში დაუკრათ და მივესალმოთ მათ“.

დასასრულ ს. იტონმა აღიღგრძელა მეგობრობა და ურთიერთგაგება საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის.

საპასუხო სიტყვაში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, რომელიც სუზმეზე იყო, მადლობა გადაუხადა ს. იტონს სტუმარმოყვარეობისათვის და დიდად დაიფასა მისი წვლილი ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

ვ. ვ. კუზნეცოვის წერილი

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი

ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, რომელიც ნიუ-იორკში იმყოფება, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, რომლითაც სთხოვს დაუყოვნებლივ მოიწვიოს საბჭოს სხდომა, რათა განხილულ იქნას ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც გმობს ინტერვენციისა და აგრესიის აქტებს, რაც ჩადენილია ვენესუელის რესპუბლიკის წინააღმდეგ ტრუხილიოს ანტიხალხური რეჟიმის მიერ დომინგოს რესპუბლიკაში და რომელიც ითვალისწინებს ამ რეჟიმის წინააღმდეგ იძულებით მოქმედებას.

წერილში აღნიშნულია, რომ უშიშროების საბჭომ უნდა იხელმძღვანელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 53-ე მუხლით, განიხილოს ეს საკითხი და მოიწონოს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გადაწყვეტილება, რომლის მიზანია თავიდან აცილებულ იქნას საფრთხე მშვიდობისა და უშიშროებისათვის, რასაც დომინგოს ხელისუფალთა მფარველობა ქმნის.

„თავისუფალ სამყაროში“



ამ ნახატით რუმინელი მხატვარი ც. კრაჩუნა გაზეთ „მუნკაში“ კომენტარს უკეთებს წინასაარჩევნო კამპანიას შეერთებულ შტატებში.

ბუენოს-აიროსის ხალხი განაგრძობს ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ამას წინათ ამ ქვეყნის დედაქალაქის სან-ხუანის პარკში გაიმართა „ინდეპენდენტისტა პარტის“ (დამოუკიდებლობის პარტიის) მიერ მოწყობილი კრება. ორატორები მოუწოდებდნენ გააძლიერონ მოძრაობა ამერიკისაგან პუერტო-რიკოს დამოუკიდებლობისათვის.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის III ყრილობა

ჰანოი, 5 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დაიწყო მუშაობა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის III ყრილობამ. ყრილობას ესწრება 576 დელეგატი, რომლებიც პარტიის დაახლოებით 500 ათასი წევრისა და კანდიდატის წარმომადგენლები არიან.

დილის 7 საათზე ყრილობის პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები ხო ში მინი, ფამ ვან დონგი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მოძმე კომუნისტური პარტიების დელეგაციათა წევრები. დელეგატები და სტუმრები მათ მუხუარე, ხანგრძლივ ოვაციას უწყობენ.

ყრილობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ და გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ხო ში მინმა. ცენტრალური კომიტეტის სახელით მან გულითადად მიულოცა ყრილობის ყველა დელეგატს, პარტიის ყველა წევრს ყრილობის გახსნა, მიესალმა მოძმე კომუნისტური პარტიების დელეგაციებს, რომლებიც ყრილობაზე ჩამოვიდნენ.

ამხანაგი ხო ში მინი წინადადებას იძლევა პატივი სცენ წინააღმდეგობის მეგობრობა და ყველა პატრიოტი ნათელ ხსოვნას, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს ეროვნული განთავისუფლების საქმეს, კომუნიზმს.

პარტიის II ყრილობიდან განვლილ პერიოდში, თქვა ხო ში მინმა, ჩვენმა პარტიამ განახორციელა II ყრილობის მიერ შემუშავებული პოლიტიკური ხაზი და სათავეში ედგა ხალხის ბრძოლას წინააღმდეგობის განსაკუთრებით მძიმე და მნიერულ წლებში. დიენ-ბიენ-ფუსთან დიდმა და სახელოვანმა გამარჯვებამ ბოლო მოუღო აგრესიულ ომს, რომელიც ფრანგმა კოლონიზატორებმა გააჩაღეს ამერიკელ იმპერიალისტთა მხარდაჭერით.

მაგრამ, განაცხადა ხო ში მინმა, ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ არ არის გაერთიანებული. ამერიკელ-დიემელთა ხროვა უხეშად არღვევს ჟენევის შეთანხმებებს, განზრახ აჭიანურებს ვიეტნამის გაერთიანებას და ვიეტნამის სამხრეთ ნაწილის ხალხს გაჭირვებასა და ტანჯვას გადუშვებდს. ამიტომ ჩვენი ხალხი არ წყვეტს ბრძოლას საძმაბლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის, ამერიკელ-დიემელთა ხროვის სასტიკი უღლისაგან სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებისათვის.

ძმეგიდობის აღდგენის შემდეგ, თქვა შემდეგ ხო ში ძიხმა, მთლიანად განთავისუფლებული ჩრდილოეთი ვიეტნამი ძვეიდა სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში. ეს იყო უდიდესი ძხიშეხელობის გარდატეხა ვიეტნამის რევოლუციაში. ჩვენ წარმატებით გავართვით თავი ეკონომიკის აღდგენის ამოცანას და წარმატებით ვამთავრებთ ეკონომიკისა და კულტურის განვითარების სამწლიან გეგმას. ჩვენ გადამწყვეტი გამარჯვება მოვიპოვეთ სოფლის მეურნეობის, კუსტარული მრეწველობის, კერძოკაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის სოციალისტურ გარდაქმნათა საქმეში.

თუ II ყრილობა იყო წინააღმდეგობის ბრძოლის ყრილობა, ახლანდელი ყრილობა არის ჩრდილოეთში სოციალიზმის მშენებლობის, და ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანების განხორციელებისათვის ბრძოლის ყრილობა.

ამხანაგი ხო ში მინი დიდ მადლობას უხდის საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხებს უანგარო დახმარებისათვის, რამაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ვიეტნამის რევოლუციის წარმატებით განხორციელებაში.

ჩვენი პარტიის 30 წლის ბრძოლა, განაცხადა ხო ში მინმა, გვასწავლის, რომ რევოლუციის გამარჯვებისათვის ყველაზე საიმედო საწინდარია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლება, პროლეტარიატისა და ერის ინტერესების ერთგულება, პარტიის შიგნით და კომუნისტურ პარტიებს შორის, დიდი სოციალისტური სისტემის ქვეყნებს შორის შეკავშირებისა და ერთიანობის განმტკიცება.

ამჟამად, განაცხადა შემდეგ ხო ში მინმა, სოციალიზმი გახდა მძლავრი მსოფლიო სისტემა. სავსებით ცხადია, რომ მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და სოციალიზმის ძალები ახლა სპარბობენ იმპერიალისტური ბანაკის ძალებს. თავიანთი შეკავშირებით და აქტიური ბრძოლით მთელი მსოფლიოს ხალხები უეჭველად შეძლებენ თავიდან აიცილონ მსოფლიო ომი და უზრუნველყონ მტკიცე მშვიდობა,

თავისი გამოსვლის დასასრულს ამხანაგმა ხო ში მინმა რწმენა გამოთქვა, რომ მთელი პარტია ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით კიდევ უფრო მტკიცედ შეკავშირდება, უფრო აქტიურად დარაზმავს მთელი ვიეტნამის ხალხს ჩვენი უანლოესი დიდი მიზნის — ჩრდილოეთში სოციალიზმის მშენებლობისა და ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანების განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ხო ში მინის შესავალი სიტყვის შემდეგ სიტყვა პოლიტიკური მოხსენებისათვის ეძლევა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ ლე ზუანს.

ჰანოი, 5 სექტემბერი. (საკდესი). დღეს საღამოს სხდომაზე ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლე ზუანის პოლიტიკური მოხსენების შემდეგ ყრილობას მიესალმნენ ვიეტნამის ეროვნული პრეზიდიუმის წევრის და ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ ნ. ა. მუხიტდინოვს.

აღნიშნა რა, რომ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის III ყრილობა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო ვიეტნამელი ხალხის, არამედ აგრეთვე სოციალისტის მთელი მძლავრი ბანაკის ხალხთა ცხოვრებაში, ნ. ა. მუხიტდინოვმა ვიეტნამის მშრომელთა პარტიას, მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას, რესპუბლიკის მთელ ხალხს მიულოცა შესანიშნავი მიღწევები ვიეტნამის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ეს მიღწევები, თქვა მან, არის, უწინარეს ყოვლისა, ვიეტნამის ახალგაზრდა, თანმიმდევრულად რევოლუციური, სოციალიზმის საქმისათვის მტკიცე და მედგარი მუშათა კლასის დამსახურება.

ძვირფასო მეგობრებო, თქვა დასასრულ ნ. ა. მუხიტდინოვმა, თქვენს პარტიას, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მებრძოლ რაზმს თავისი ცენტრალური კომიტეტის ნაცადი ხელმძღვანელობით ვიეტნამელი ხალხის სახელოვანი შვილის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ამხანაგ ხო ში მინის მეთაურობით ღირსეული წვლილი შეაქვს საერთაშორისო სოლიდარობის, განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში.

შეგვიძლია დაგარწმუნოთ, ხაზგასმით აღნიშნა ნ. ა. მუხიტდინოვმა, რომ საბჭოთა ხალხი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მუდამ იქნებიან თქვენი ერთგული და საიმედო მეგობარი საერთო საქმისათვის — სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

შეჭდა ნ. ა. მუხიტდინოვმა, გამოაქვეყნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება ვიეტნამის მშრომელთა პარტიის III ყრილობისადმი.

ნ. ა. მუხიტდინოვის სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და მრავალგზის გაუწყვეტინეს მქუხარე ტაშით.

ნ. ა. მუხიტდინოვის შემდეგ გამოვიდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაური ლი ფუ ჩუნი.

ამით დამთავრდა დღევანდელი სხდომა. ხვალ ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

ბილიონობით ადამიანი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ვერაგულ მოქმედებას, რომლებიც ცდილობენ გაამწვავონ საერთაშორისო ვითარება. ისტორია იმის ბევრ დამამტკიცებელ საბუთს იძლევა, რომ ამერიკელი იმპერიალისტები საერთაშორისო თანამშრომლობის, ხალხთა თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და უშიშროების მტრები არიან. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მკითხველების ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკის გ. ლ. ღამბაშიძის ნაშრომმა „საქართველოს მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ისტორიიდან. 1917-1920“[1], რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა.

წიგნი, რომელიც ამხელს ამერიკის ანტიქართულ პოლიტიკას

ეს ნაშრომი მიძღვნილია აქტუალური მეცნიერული და პოლიტიკური პრობლემისადმი — იგი ამხელებს ამერიკელ იმპერიალისტებს, როგორც ჩვენი ქვეყნის ხალხების წინააღმდეგ 1917-1921 წლებში სამხედრო ინტერვენციის ორგანიზატორებსა და აქტიურ მონაწილეებს. დიდი ფაქტიური და დოკუმენტური მასალის, საარქივო წყაროების გამოყენების საფუძველზე ავტორმა შეძლო ემხილებინა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიული გეგმები და პოლიტიკა საქართველოს მიმართ.

გერმანიის დამარცხების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები, რომლებიც ომით გამდიდრდნენ, კონტრრევოლუციისა და ინტერვენციის მეთაურებად გამოვიდნენ. ავტორს მოჰყავს ამ სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტები, რომლებთაც დასახული იყო ჩვენი ქვეყნის დიდი რაიონების მიტაცება. ამ ნაშრომში, პირველად ჩვენს ლიტერატურაში, ქვეყნდება რუკა, რომელიც აშშ სახელმწიფო დეპარტამენტს 1919 წლის იანვარში შეუდგენია. ეს რუკა თვალისწინებდა საბჭოთა რუსეთისაგან ახლანდელი კარელიის ასს რესპუბლიკის, მურმანსკის ოლქის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, უკრაინის, ყირიმის, ამერკავკასიის, შუა აზიის, აგრეთვე ურალიდან წყნარ ოკეანემდე ტერიტორიის მოწყვეტას. ამერიკელი იმპერიალისტები ჩვენი ქვეყნის ხალხებს კოლონიური მონების ბეღს უმზადებდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესი ამიერკავკასიისა და საქართველოსადმი განისაზღვრებოდა ამ მხარის დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობითა და მდიდარი ბუნებრივი რესურსებით. ამერიკის მონოპოლიები განსაკუთრებით ისწრაფვოდნენ ხელში ჩაეგდოთ ქართული მარგანეცი. ამერიკის შეერთებული შტატების მარგანეცის საერთო იმპორტში საქართველოს წილი ფრიად მნიშვნელოვანი იყო. 1912-1914 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში შეტანილ იქნა მარგანეცი ინდოეთიდან — 373 ათასი ტონა, ბრაზილიიდან — 266 ათასი ტონა და საქართველოდან — 266 ათასი ტონა. საქართველოს გასაძარცვავად ამერიკელებმა სპეციალური კომპანიაც კი შექმნეს, რომელსაც ფილიალი ჰქონდა თბილისში (გვ. 6-7).

აშშ კონსულმა ვ. სმიტმა შეიმუშავა 1917-1918 წლებში ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ კონტრრევოლუციური ძალების საერთო შეტევის გეგმა და ფაქტიურად დაიწყო მისი განხორციელებისადმი ხელმძღვანელობა, წარმართავდა რა მეწინავიკური მთავრობის საქმიანობას. ავტორს მოჰყავს სმიტის მიწერ-მოწერა აშშ სახელმწიფო მდივანთან ლანსინგთან. ამ მიწერ-მოწერიდან ჩანს ამერიკის შეერთებული შტატების მაორგანიზებელი როლი შამქორში რევოლუციური ჯარისკაცების მასობრივი მკვლელობის საქმეში (გვ. 17-18).

1919 წლის დამდეგს ამერიკელებმა შეიმუშავეს საქართველოს მიტაცების საიდუმლო გეგმები. საიდუმლო დოკუმენტიდან — პარიზის საზავო კონფერენციაზე აშშ დელეგაციის სახელმძღვანელობიდან — ჩანს, როგორ აპირებდნენ ამერიკის შეერთებული შტატები ამიერკავკასიის რუკის გარდაქმნას. საქართველოს შესახებ დოკუმენტში ნათქვამი იყო: „რეკომენდებულია, რომ ქართველებმა მიიღონ **დროებითი** დამოუკიდებლობა“ (გვ. 32).

„დროებით“ დამოუკიდებელი საქართველო შემდეგში უნდა შეეერთებინათ სომხეთთან, რომელიც ამერიკელებს უნდოდათ კიდევ უფრო ადრე გადაექციათ თავიანთ კოლონიად. რაც შეეხება აზერბაიჯანს, აშშ მთავრობა აპირებდა ისიც სომხეთთან შეეერთებინა და ამრიგად შექმნა ერთიანი ამერიკული კოლონია, რომელიც მოიცავდა მთელ ამიერკავკასიასა და შეცრე აზიას (გვ. 33).

როგორც ჩანს ავტორის მიერ მოყვანილი დოკუმენტებიდან, აგრეთვე რუკებიდან და სხვა უდავო მასალებიდან, აშშ იმპერიალისტებმა ამიერკავკასიაში ამერიკის საგუბერნატორიოების, ესე იგი ნამდვილი კოლონიების, შექმნაც კი დაიწყეს. ამ საგუბერნატორიოებში მთელი ძალაუფლება ამერიკელი ჰაულიატერების ხელში უნდა ყოფილიყო.

1919 წ. 25 ოქტომბერს გამოცხადდა ნახჭევნის საგუბერნატოროს შექმნა (გვ. 61). მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები ამას როდი სჯერდებოდნენ. მთ გადაწყვიტეს საქართველოს დედაქალაქის ახლოს შეექმნათ ახალი საგუბერნატორო საქართველოსა და სომხეთის მოსაზღვრე ოლქებისაგან. მაგრამ ეს წამოწყება ჩაიშალა. 1920 წლის დამდეგისათვის საქართველოსა და სომხეთში პოლიტიკური ვითარება უაღრესად დაძაბული გახდა, და ამერიკელ „დამინისტრატორებს“ ფიქრი დასჭირდათ იმაზე, რომ როგორმე თავი გაეღწიათ აქედან. 1920 წ. მაისში ამერიკელთა შტაბი გადაყვანილ იქნა ბათუმში, სადაც მას ინტერვენტთა სამხედრო ფლოტი იცავდა.

ამერიკელები ცდილობდნენ საქართველოსათვის ჩამოეშორებინათ ქალაქი ბათუმი და ბათუმის ოლქი, რომლებსაც საარსებო მნიშვნელობა ჰქონდათ საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკისათვის, გადაექციათ ისინი კოლონიებად, ხოლო მოსახლეობა ამპერიალისტთა მონებად. ასეთი მამხილებელი ფაქტები სარეცენზიო ნაშრომში ბევრია.

საქართველოს მაგალითით გ. ღამბაშიძემ ცხადყო, რომ ფართოდ რეკლამირებული ეგრეთწოდებული ამერიკული „დახმარება“ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აშშ იმპერიალისტური ექსპანსიის საშუალება, ხხვა ხალხების საქმეებში პოლიტიკური ჩარევის იარაღი იყო. ამერიკელი „დამინისტრატორები“, „დახმარებით უსვამს ხაზს საბჭოთა რუსეთის, როგორც ქართველი ხალხის ერთგული მეგობრისა და დამცველის როლს. საბჭოთა რუსეთმა, ვ. ი. ლენინმა უდიდესი დახმარება გაუწიეს საქართველოს მშრომელებს კრიზისულ მომენტში, როცა წყდებოდა სოციალისტური რევოლუციისა და საქართველოს დამოუკიდებლობის ბედი.

ამბ. ღამბაშიძის ნაშრომს, ბუნებრივია, მკითხველი დადებითად შეხვდება. მაგრამ სამწუხაროდ, იგი თავისუფალი არ არის ზოგიერთი ნაკლისაგან. ბრიშუერა საგრძნობლად მოიგებდა, ავტორს შესაელში რომ მოეყვანა თუნდაც მოკლე მიმოხილვა ამერიკული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ძირითადი მიმართულებებისა, რომ

რომის ოლიმპიადიდან ცოცხალი ხმა

ოლიმპიური ცეცხლი გიზგიზებს

□ 6 სექტემბერს გრძელდებოდა შეჯიბრება ტყვიის სროლაში. ყურადღების ცენტრში იდგა ფინალური ასპარეზობა ნებისმიერი პისტოლეტის სროლაში, რომელიც საბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფით დამთავრდა. მათ ოქროსა და ვერცხლის 2 მედალი მოიპოვეს. ოქროს მედალი ახალი ოლიმპიური რეკორდით ბედა ა. გუშჩინს, ვერცხლის — მ. უმაროვს.

□ გუშინ შედგა აგრეთვე ფინალური ასპარეზობა სამმაგ ხტომაში. ამ თავიდანვე ცხადი გახდა, რომ პირველობის მთავარი პრეტენდენტი იყო მსოფლიო რეკორდსმენი ი. შმიდტი (პოლონეთი). პირველად მან შედეგით 16 მეტრი და 21 სანტიმეტრი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა, ხოლო შემდეგ აჩვენა 16 მეტრი და 81 სანტიმეტრი და გადააჭარბა მსოფლიო რეკორდს. ი. შმიდტი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

□ დამთავრდა შეჯიბრება კრივში. საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი. პირველ საშუალო, მეორე საშუალო და ქვეძმიმე წონებში ჩემპიონები გახდნენ ამერიკელი მოკრივეები — მაკლიური, კრუკი და კლეი. მძიმე წონაში ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა იტალიელმა მოკრივე დე პიკოლიმ.

□ გუშინ რომიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის ოლიმპიელთა ერთი ჯგუფი, რომელთა შორის არიან ჩვენი სახელოვანი ველოსიპედისტები, ნიჩბოსნები და სხვ. დედაქალაქის მშრომელებმა გამარჯვებულებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

□ გუშინ გრძელდებოდა შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. ამ ასპარეზობაში ა. სხირტლაძემ და ძარასოვმა მეორე საპრიზო ადგილები და ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ვ. რუბაშვილს გადაეცა ბრინჯაოს მედალი.

□ გუშინ დაიწყო ტანმოვარჯიშე ქალთა ასპარეზობა. წინ არიან საბჭოთა სპორტსმენები ასტახოვა და ლატინინა.

□ გუშინ 400 მეტრზე რბენაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ამერიკელი დევისი, რომელმაც ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 44,9 წამი. 1.500 მეტრზე რბენაში უძლიერესი იყო ავსტრალიელი ელიოტი. მისი შედეგი — 3 წუთი და 35,6 წამი ახალი მსოფლიო რეკორდია.

ოლიმპიური ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში ნ. პონომარიოვა.

მედლები, ქულები

მდგომარეობა 5 სექტემბრისათვის

მედლები

გუნდები	ოქროს	ვერცხლის	ბრინჯაოს	ქულათა რაოდენობა	ადგილი
სსრ კავშირი	21	12	14	322,5	I
ამერიკის შ. შ.	21	13	13	292,5	II
გერმანია	8	14	7	195,5	III
იტალია	10	7	5	141	IV
ავსტრალია	5	6	5	101	V
უნგრეთი	4	7	3	100	VI
პოლონეთი	2	4	8	91,5	VII

XVII ოლიმპიური ასპარეზობა. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): კიეველი სპორტსმენი ლიუდმილა რადჩენკო, რამონ ლოპესი (კუბა) და თბილისელი სტუდენტი იური დიაჩკოვი მეგობრულად საუბრობენ წვრთნის შემდეგ.

ტანვარჯიშულ იარაღებზე

რომი, 6 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვაჟები განაგრძობდნენ ტანვარჯიშული მრავალჭიდის სავალდებულო პროგრამით გამოსვლას. პირველ სამ იარაღზე ვარჯიშის შემდეგ (ტაიჯი, რგოლები და ბჯენითი ხტომები) სსრ კავშირი ლიდერობდა შედეგით — 143,05 ქულა.

ორიელზე ვარჯიშის დროს საბჭოთა სპორტსმენმა ა. აზარიანმა მიიღო შეფასება 9,25 ქულა, ბ. შახლინმა—9,7 ქულა. მორიგი იარაღი იყო ღერძი. ბ. შახლინმა, ა. აზარიანმა და ი. ტიტოვმა (სსრ კავშირი) მიიღეს მაღალი შეფასებანი — შესაბამისად 9,8, 9,75 და 9,7 ქულა.

უფრო სუსტად გამოვიდნენ ჩვენი ტანმოვარჯიშეები სავალდებულო პროგრამის დასკვნითი ვარჯიშის შესრულებისას — თავისუფალ ვარჯიშში. ყველაზე მაღალი შეფასება ჰქონდა ი. ტიტოვს — 9,5 ქულა და ვ. პორტნოის — 9,45 ქულა. ამან შესაძლებლობა მისცა იაპონიის გუნდს ხელთ ეგდო ლიდერობა და სავალდებულო პროგრამის ექვსი სახეობის შეჯიბრების შედეგად მოეგროვებინა 287 ქულა. მეორე ადგილზე არიან სსრ კავშირის ტანმოვარჯიშენი — 285,95 ქულა, მესამეზე — იტალიის გუნდი 276,7 ქულა.

პირად ჩათვლაში სავალდებულო ვარჯიშის შემდეგ ლიდერია იაპონელი ტანმოვარჯიშე ტაკასი ონო, რომელსაც 57,80 ქულა აქვს. მეორე ადგილი უკავია ბ. შახლინს (57,65 ქულა).

ფეხბურთელთა ტურნირი

ფეხბურთელთა ოლიმპიური ტურნირი დასასრულს უახლოვდება. მეტად მძაფრი გამოდგა იტალიისა და იუგოსლავიის გუნდების მატჩი, რომელიც ორჯერ ფრედ დამთავრდა. გათამაშების დებულებით მოეწყო კენჭისყრა. იუგოსლავებს ბედმა გაუღიმა, ისინი ფინალში მოხვდნენ, სადაც შეხვდებიან უნგრეთისა და დანიის გუნდების ნახევარფინალურ ასპარეზობაში გამარჯვებულს.

დასკვნითი ბრძოლები რინგზე

როგორც ვიუწყებოდით პირველ ორ წონაში საბჭოთა მოკრივეებმა ს. სივკოვმა და ო. გრიგორიევმა ვერცხლისა და ოქროს მედლები მოიპოვეს.

5 სექტემბერს ოქროს მედლები მოიპოვეს აგრეთვე მუსომ (იტალია), პაზძერმა (პოლონეთი), ნემეჩეკმა (ჩეხოსლოვაკია), ბენვენუტმა (იტალია).

რ. ჯონსონი თუ ვ. კუზნეცოვი

მძლეოსანთა შეჯიბრებაში ზანგმა ქალმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ვ. რუდოლფმა მოიპოვა ოქროს მედალი, მოიგო რა ფინალური გაბრენა 200 მეტრზე — 24 წამში, მეოთხე ადგილი დაიკავა საქართველოს მოჭიდავეებმა XVII ოლიმპიურ ასპარეზობაზე კიდევ ორი მედალი მოიპოვეს. გ. სხირტლაძეს გადაეცა ვერცხლის მედალი, ვ. რუბაშვილს — ბრინჯაოს მედალი. სურათზე: მარცხნიდან — ბ. სხირტლაძე და ვ. რუბაშვილი.





პრეტენდენტთა ტურნირის წინ

ჭადრაკის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა მომავალი ტურნირი ჭადრაკში ქალთა შორის, რომელიც 1961 წელს გაიმართება იუგოსლავიაში.

ამ ტურნირში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის უძლიერესი მოჭადრაკეები, რომელსაც გამოავლენს საკავშირო ჩემპიონატი.

ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკე ქალთა დასკვნითი შეჯიბრება ჩემპიონის გამოსავლენებლად მოეწყობა რიგაში მიმდინარე წლის ბოლოს. ამ შეხვედრებში გროზნოს, კალინინისა და უქგოროდის ნახევარფინალებში გამარჯვებულებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ე. ბიკოვა, ლ. გოლპერტი, ტ. ზატულოვსკაია, ს. როოტარე და ფ. დმიტრიევა.

მოჭადრაკე ქალები იწყებენ ბრძოლას

გროზნი, 6 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა მე-20 პირველობის ნახევარფინალი. ნახევარფინალში მონაწილეობენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ო. რუბცოვა (მოსკოვი), საქართველოს ჩემპიონი ოსტატი ნ. გაფრინდაშვილი, პირველ თანრიგოსნები რ. ანიშჩენკო (სვერდლოვსკი), ნ. შპიკენე (ყაუნასი), მ. ტოგონიძე (თბილისი), გ. ლიაპუნოვა (ერევანი) და სხვები.

გაიმართა შეჯიბრების მონაწილეთა წილისყრა, შეჯიბრება 27 სექტემბრამდე გაგრძელდება. ხვალ პირველი ტურია.

კალათბურთელთა საზაფხულო ტურნირი

გრძელდება კალათბურთელ ვაჟთა უძლიერესი კოლექტივების საზაფხულო ტურნირი, სადაც სხვა გუნდებთან ერთად გამოდიან თბილისის „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ გუნდები.

გუშინ თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე გაიმართა მორიგი ასპარეზობა. თამაშობდნენ თბილისის „დინამოსა“ და რიგის ვეფის გუნდები. დინამოელთა რიგებში იყვნენ კილაძე, ინწკირველი, ლექავა, ხაზარაძე, ალთაბაევი.

ანგარიში თბილისელებმა გახსნეს და ბრძოლაც პირველ წუთებში მათი უპირატესობით წარიმართა. მე-3 წუთზე დინამოელები წინ იყვნენ 6 : 3, მაგრამ ზუსტი ტყორცნებით სტუმრებმა ჯერ გათანაბრეს ანგარიში, ხოლო შემდეგ დაწინაურდნენ 9 : 8, 10 : 8. მე-8 წუთისათვის ანგარიში იყო 12 : 12, მე-10 წუთისათვის — 17 : 17, მე-12 წუთისათვის— 23 : 23. შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა. შორიდან ბურთის ზუსტი ტყორცნით კილაძემ წინ გაიყვანა თავისი გუნდი. დინამოელებმა მოიგეს პირველი ტაიმი ანგარიშით 41 : 30.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ბრძოლა დაახლოებით თანაბარი იყო. შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 73 : 63.

დუბლიორები პრიზისათვის იბრძვიან

როგორც ცნობილია, „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების დუბლიორებისათვის სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას დაწესებული აქვს სპეციალური პრიზი.

ამ ჯილდოს პრეტენდენტები არიან არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და მოსკოვის „დინამოს“ დუბლიორთა გუნდები, რომლებიც ორჯერ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს.

3 სექტემბერს გაიმართა მათი პირველი მატჩი. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1 : 1.

თუ ამ გუნდების მეორე შეხვედრაც ფრედ დამთავრდა, მაშინ მოეწყობა დამატებითი მატჩი.



ხალიჩაზე არიან მოჭიდავეები

გუშინდელმა დღემ ჩვენს მოჭიდავეებს მწუხარება მოუტანა. ა. ალიევმა (უმაღესი წონა) ქულებით წააგო ამერიკელ სიმსონთან. მეორე ამერიკელმა მოჭიდავემ უილსონმა (მსუბუქი წონა) აჯობა ჩვენს ჭიდაობის გამოცდილ ოსტატს ვ. სინიავსკის. მოდუნებულად ჭიდაობდა გუშინ დილით ვ. რუბაშვილი (ქვემსუბუქი წონა), რომელმაც ვერაფერი ვერ დაუპირდაპირა პაკისტანელ აჰტარის სწრაფ კვანტებს. გამარჯვება ქულებით აჰტარმა მოიპოვა. მაგრამ საღამოს იაპონელ სატოსთან შეხვედრაში თბილისელი ოსტატი ჭიდაობდა გაბედულად, ენერგიულად და დამსახურებისამებრ აჯობა მოწინააღმდეგეს.

ძლიერად გამოდის ოლიმპიადაზე სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი ს. ძარასოვი (ძმიმე წონა), იტალიელ მოჭიდავე მაროსკალსკისთან ჭიდაობაში მან წმინდა გამარჯვება მოიპოვა. მ. შახოვმა მეშვიდე წუთზე დასცა გერმანელი კამერერი. გ. სხირტლაძემ ქულებით მოუგო მატჩოს (ინდოეთი).

გ ო ზ ო უ რ ი სანახაობანი

„რომენის“ გასტროლები გრძელდება

□

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში წარმატებით მიმდინარეობს მოსკოვის ბოშათა თეატრის „რომენის“ გასტროლები. შაბათს, 3 სექტემბერს, რომენელებმა წარმოადგინეს ი. რომ-ლებედევის რომანტიკული პიესა-ნოველა „სამიკინო „მაკრელი“, რომელიც 1905 წლის რევოლუციის ფონზე თვალწინ გვიშლის ბოშა რევოლუციონერის ხავკარუბინის, კონტრაბანდისტ იაშკა-კოროლისა და ულამაზესი ბოშა ქალის მორკას პირადი დრამის საინტერესო ისტორიას. სპექტაკლის ავტორები არიან რეჟისორი ს. ბარკანი, კომპოზიტორი ს. ბუგაჩევსკი, ბალეტმეისტერი ი. ხრუსტალევი. მთავარ როლებს ასრულებენ ს. ზოლოტარიოვი (საკა-რუბინი), ს. შიშკოვი (იაშკა-კოროლი) და რსფსრ დამსახურებული არტისტი ო. იანკოვსკაია.

4 სექტემბერს დილით წარმოდგენილი იქნა ბოშა ახალგაზრდობის ცხოვრების ამსახველი მხიარული კომედია „ბოშური ხასიათი“, ხოლო საღამოს მეცხრამეტე საუკუნის უკრაინელი დრამატურგის მ. სტარიცკის ცნობილი სახალხო დრამა „ბოშა ქალი აზა“. პიესის ახალი სცენური რედაქციის ავტორმა პ. ბაკულინმა და დამდგმელმა ს. ბარკანმა ახლებურად წაიკითხეს პიესა, გაწმინდეს ის „მკაცრი მელოდრამის“ შტამპებისაგან, რომლებიც ასევე იყო პიესის რევოლუციამდელი ვარიანტები. პიესის ახალ რედაქციაში მთავარი ყურადღება დათმობილი აქვს მაღალი ადამიანური ღირსებისა და ბოშა აზას თავგანწირული გმირობის თემას. 5 სექტემბერს რომენელებმა თბილისელ მაყურებელს კვლავ უჩვენეს ი. ხრუსტალევის მუსიკალური დრამა „მჩქეფარე სისხლი“. გუშინ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში კვლავ (მეორეჯერ) წარმოდგენილი იქნა ი. ხრუსტალევის კომედია „ოთხი სასიძო“.

* * *

„რომენის“ მსახიობები, გარდა თბილისისა, წარმატებით გამოდიან საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. ამ დღეებში თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის ერთი ნაწილი — მსახიობები ნ. მიხაილოვა, ნ. ჩერკასოვა, ლ. მუშკატოვა, ბ. ზავიცკი, ბ. ტაშკენტსკი და სხვები ესტუმრნენ ბოლნისელ კოლმეურნეებს და კულტურის რაიონულ სახლში გამართეს საინტერესო კონცერტი, რომელსაც ესწრებოდნენ ბოლნისში მცხოვრები ბოშა კოლმეურნეები. „რომენის“ მსახიობთა გამოსვლებმა ბოლნისელთა და განსაკუთრებით ბოლნისელ ბოშა კოლმეურნეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. კონცერტის შემდეგ კოლმეურნეებმა ძვირფას სტუმრებს დაათვალიერებინეს თავიანთი კოლმეურნეობის ზვრები.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლ „ბოშას“ ოჯახიდან“.

ფოტო კ. კრიმსკისა.

ასე იქცევიან საბჭოთა ადამიანები

გ ა ნ წ ი რ უ ლ ი ს გ ა დ ა ს ა რ ჩ ე ნ ა დ

ეს ამბავი ამ დღეებში მოხდა, ერთი დღეღამის გადაუღებელი წვიმისაგან მთის ჩქარი მდინარე არაგვი სწრაფად ადიდდა და გამაყრუებელი ხმაურით აწყდებოდა კლდოვანი კალაპოტის ციცაბო ნაპირებს. შავი ფერის უზარმაზარი ზვირთები ეხეთქებოდნენ ყველაფერს, რაც კი წინ აღუდგებოდათ. ამ დროს, როგორც იტყვიან, მდინარე არაგზე ჩიტიც კი ვერ გადაფრინდება. ფშავის ხეობაში, იქ, სადაც მდინარე ჩარგლურა არაგვს უერთდება, ბუნებრივ კლდოვან ბურჯებზე დაყრდნობით მდინარე არაგზე გადაჭიმულია ბაგირის ხიდი. ეს ხიდი „ვაჟა-ფშაველას წყაროსთან“ მდიას.

თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი 60 წლის მოხუცი ლადო ღვინიაშვილი (სოფელ ღვინიანებიდან) წელს თავის ქალიშვილთან და მეუღლესთან ერთად მკურნალობდა ვაჟა-ფშაველას წყაროზე. დღის 12 საათი იქნებოდა, როცა ჩარგლიდან წყაროზე მიმავალი ლადო ღვინიაშვილი ბაგირის ხიდზე გადადიოდა. ხიდის ქვეშ მშფოთვარე არაგვი მიიმეოდა. შუა ხიდზე ლადო ღვინიაშვილს თვალები აუჭრელდა ნაწვიმარ ფიცარზე ფეხი დაუსხლტა, მოხუცს ძალამ უმტყუნა და შუა მდინარეში ჩაეარდა. თითქმის მსხვერპლს ელოდენო, არაგვის ზვირთებმა გააქანეს მოხუცი ქვევით, კლდოვანი წყალვარდნილისაკენ, სადაც მას აუცილებელი დაღუპვა მოელოდა. არაგვის ხეობა შეაკრთო ლადოს ქალიშვილის შეძახილმა ეკვილმა.

ამ დროს სოფ. ჩარგლის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი მანქანა მიუახლოვდა ამ ადგილს. მანქანის ძარაში სხვებთან ერთად იმყოფებოდა საქართველოს კპ დუშეთის რაიკომის ლექტორ-კონსულტანტი გიორგი პავლესაძე. ... წოწკოლაური. მან შორიდან დაინახა, თ... როგორ გადავარდა მდინარეში ... ბაგირის ხიდიდან, სწრაფად ჩამოხტა მ... ქანიდან და გაექანა მდინარისაკენ. გზადაგზა ტანსაცმელს იხდიდა. ვეფხვივ... ტომით გადაეშვა მის ბობოქარ ტალღებში, თვალის დახამხამებაში წამოეწია მდინარის მსხვერპლს. სტაცა მას ხელ... და მარჯვე ცურვით ნაპირზე გამოიყვანა ... ღონემიხილი ღვინიაშვილი. გ. წოწკოლაურმა ადამიანი დაღუპვას გადაარჩინა.

უ. ბოძაშვილი.

„მეგზურების სახლში“

ამას წინათ გაგრის ტურისტთა ბაზაში დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა. მოელოდნენ უცხოელ ტურისტებს. ეზოს კარს, რომელსაც აწერია: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“! მოადგა ცისფერი ღია ავტობუსი. მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე გაისმა ხმამაღალი შეძახილები: „სალამი, ძვირფასო მეგობრებო!“, „გაუმარჯოს მშვიდობას!“ მასპინძლებმა სასურველ სტუმრებს, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტებსა და სტუდენტებს, ათზე მეტი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს, ცოცხალი ყვავილების თაიგულები უძღვნეს.

სტუმართა შორის იყვნენ იაპონელი ასპირანტი ოხარა კაძო, ჩინელი ხოუ ტონ-სიანი, გერმანელი რიხარდ ტეტნერი, ვიეტნამელი ლე დიკნიუ, იტალიელი ლეო ფაბრი, ჩეხი ვლადიმერ მიკულაჩ, პოლონელი ფრანც ბეკერი, ბულგარელი გრიგოლ გეორგიევი და სხვები. უცხოელი ტურისტები, როგორც კი მოეწყვნენ ტურბაზის ნათელ, გემოვნებით მორთულ ოთახებში, მაშინვე სპეციალური კიბით პლატეზე ჩავიდნენ და ბანაობა დაიწყეს. ორიოდე საათი, და გამოჩნდნენ ახალი სტუმრები — ჩეხოსლოვაკიელი ტურისტები — მუშები და მოსამსახურეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, რომლებიც მოგზაურობენ კავკასიის შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში. გულთბილი შეხვედრის შემდეგ ჩეხოსლოვაკიელმა და საბჭოთა ტურისტებმა იმღერეს „ჩეხური პოლკა“.

— ჩვენზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დატოვა საქართველოს აუკვავებულმა ულამაზეს მა მხარემ აფხაზეთმა, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ჩეხოსლოვაკიის ტურისტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა იაროსლავ ბრედმა, — ჩვენ უკვე ვიყავით მაღალმთიან რიწის ტბაზე. გზა და თვით ტბა ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენს. ქალაქ ოქტავას მცხოვრებს ტრაქტორისტ ეჟი ჩიგანს და კურორტ ქარლოვი ვარის მკვიდრს, ეკონომისტ იაროსლავ პროხასკას ძალიან მოსწონთ ტურისტული კოცონი და გემრიელი ქართული მწვადი, რომლის გაკეთება თვითონაც უსწავლიათ.

საზღვარგარეთელი სტუმრების პატივსაცემად მოეწყო მხატვრული თვითმოქმედების დიდი კონცერტი, რომელიც ხალხთა მეგობრობას მიეძღვნა. ღილაადრიან იწყება და გვიან ღამემდე გრძელდება ტურისტულ ბაზაში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებანი.

გაგრის ტურბაზა გასული წლიდან მთელი წლის განუწყვეტელ მომსახურებაზე გადავიდა. წელს აქ 13.000 სტუმარს უნდა. მოემსახურონ. ტურისტების უკეთ მომსახურების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. საექსპლოატაციოდ გადაეცა მეორე ახალი კორპუსი და ახლა შეუძლიათ ერთდროულად 300 ტურისტი გაატარონ. შეკეთდა დამხმარე ნაგებობანი, კეთილმოეწყო პლაჟი, დამატებით დაიდგა ქოლგები, გაკეთდა ზღვაში ჩასასვლელი კიბე, გაფართოვდა სასადილო დარბაზი და დაინერგა თვითმომსახურება. ბაზას ემსახურება საკუთარი რადიოკვანძი, მდიდარი ბიბლიოთეკა. სტუდენტი და მოსწავლე ტურისტებისათვის, რომლებიც უსაგზაუროდ, თავიანთი საკურვლით, ორგანიზებულად 5-20 კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად ჩამოდიან, წელს პირველად მოეწყო ბანაკი ამ ტურისტულ ბაზაში.

დასასვენებლად ჩამოსული ტურისტები თვითეული ჩვენგანის სასურველი სტუმრები არიან, — განაცხადა ტურბაზის დირექტორმა გ. ნადარეიშვილმა, — „მობრძანდით, დაისვენეთ ჩვენს „მეგობრობის სახლში“, ძვირფასო სტუმრებო!“.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ - ხაკ. კორ.

* * *

სურათზე: მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხოელ ასპირანტთა და სტუდენტთა ჯგუფი გაგრის ტურისტულ ბაზაში.

ფოტო ი. ჭობონელიძისა.

8 და 9 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მცირე მოღრუბლულობა უნალექოდ, აღმოსავლეთის ხუსტი ზომიერადე, მდინარე რიონის ხეობაში ზომიერი ძლიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 16-21, დღისით 28-33 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 10-15, დღისით 24-29 გრადუსი.

ამინდი

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვლადი მოღრუბლულობა, აღმოსავლეთ რაიონებში ალავ-ალაგ მცირე წვიმა, ხუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 13-18, დღისით 24-29 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 6-11, დღისით 21-26 გრადუსი.

რედაქტორის მოადგილე
ა. კოკილაშვილი.

7 სექტემბერი

თეატრები: მოსკოვის ბოშათა თეატრის „რომენის“ გასტროლები — სამეიტნო „სკუბრია“ (ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში), მოზარდ მაყურებელთა ქართული — პიტა კოსმოსში (ა. № 3, 10 ს.).

კინოები: რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო) — მეორე ყვავილობა, ამირანი (საზაფხულო), ისანი (საზამთრო), სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), საქართველო (მეწვანე დარბაზი), კოლხიდა (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზამთრო) — ბებეტა ომში მიდის.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80. სამდივნოსი — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სა... ებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-84. წერილების — 8-73-24, ინფორმაციის — 8-16-90, საილუსტრაციო — 8-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 8-08-67, განცხადებების მიღების — 8-64-42.

УЭ 04265

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

ეს ვინ არცხვენს ჩვენს დედაქალაქს!

„პროსპექტის გმირები“

იმ დღეს რუსთაველის პროსპექტზე სასტუმრო „ინტურისტის“ წინ ხალხში გარეული ახალგაზრდა, რომელსაც ხელში უშველებელი დანა ეჭირა და გაბოროტებით იქნევდა, მისდევდა აწოლებულ, გაფითრებულ ქალებს, ქალიშვილებსა და შვილნებულ ჯაბუკებს; ისინიც გარბოდნენ, რომ ამ ონავარის მსხვერპლი არ გამხდარიყვნენ, გარბოდნენ გაზონებისაკენ, თავს აფარებდნენ სადარბაზო შესასვლელებს...

სასტუმროს წინ, იქ, სადაც მოძრაობის მარეგულირებელი № 7 საგუშაგოა, მილიციის ორი მუშაკი იდგა. ერთი შუქნიშნებს რთავდა, მეორე კი ღია კარებს გაღებულ იდგა და გულგრილად შესცქეროდა თავაწყვეტილი ხულიგნის მოქმედებას, ხოლო როცა იგი ჯიხურისაკენ გაეშურა, გაღებულ მყოფი მილიციელი შეკრთა, შუქნიშნების ჯიხურში შეეარდა, კარი მიიჯახუნა და მინებიდან შეშინებული თვალებით დაიწყო მზერა. ზღვა ხალხი შეგროვდა, პროსპექტის ორივე მხარეს ტევა არ იყო, მაგრამ ვერავინ ბედავდა ხულიგანთან მისვლას და მის შეპყრობას. პირიქით, ამ სანახაობისაგან ზოგიერთის სახეზე სიამოვნებასაც კი ამოიკითხავდით.

როცა „პროსპექტის გმირმა“ კინოთეატრ „რუსთაველის“ გვერდით ჩაუხვია, ზოგიერთი მოქალაქე ცნობისმოყვარეობის გამო აედევნა, მათ შორის იყო ახოვანი ტანის, ბრგე, თეთრკოსტიუმიანი ვაჟკაცი. იგი ფრთხილად, და თანაც უშიშრად მისდევდა. აქეე იყვნენ ხულიგნის „ამქრის“ წევრებიც, თითქოს კიდეც აწყნარებდნენ მას. მაგრამ დაბალი, კისერრავარდნილი ჩექმებიანი უცნობი ჯიუტობდა. მის გაშავებულ სახეს დამწაშავის იერს აძლევდა გადმოკარკლული თვალები და დაღრეჯილი კბილები...

გამოჩნდა კალინინის რაიონის მილიციის მუშაკი ვ. გაგლოევი, იგი გულდაგულ დაედევნა ხულიგანს.

— შეიპყარით, დაიპატიმრეთ! — იძახოდნენ მოქალაქენი. აღშფოთებული მილიციის მუშაკიც სწრაფად მიეჩქარა თავაწყვეტილ „ვაჟკაცთან“, მძლავრათ ჩასწვდა მოღერებულ დანიან ხელში. ამით ისარგებლა თეთრკოსტიუმიანმა და დანა გამოსტაცა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — გაისმა შეძახილები.

— გმადლობთ მოქალაქე!

— თავაზიანად მიმართა გალეევმა თეთრკოსტიუმიანს და სთხოვა წართმეული დანა მისთვის მიეცა. მოქალაქემ აგდებულად ჩაიქნია ხელი, ირონიით შეხედა მილიციის მუშაკს, ზურგი შეაქცია, დანა თან წაიღო. მოქალაქის უცნაურმა მოქმედებამ მილიციის მუშაკი გაბაცაფრა, დაიბნა, ამით ისარგებლეს ხულიგნის მეგობრებმა და იგი მიმალეს.

ჩვენ ვერ შეგძელით თავაწყვეტილი ხულიგნის ვინაობის დადგენა, მაგრამ იმას კი მივაღწიეთ, რომ ამოგვეცნო მისი მფარველები. აი მაგალითად, ის, თეთრკოსტიუმიანი. უცნობი მოქალაქე, რომელიც რუსთაველის პროსპექტიდან არხეინად მოსდევდა ხულიგანს და მისი შეპყრობისათვის თავს არ იწუხებდა, რესტორან „ინტურისტის“ სასაუზმის ადმინისტრატორი ვლადიმერ მხითარიანი გახლავთ. ხულიგანები სწორედ იმ სასაუზმეში დათვრნენ და ჩხუბი ატეხეს, სადაც ვ. მხითარიანი მუშაობს. ამავე სასაუზმის მებუფეტეს შ. მადურს პეური საჭელი დანა მოსტაცეს და ქუჩაში გაცვივდნენ.

ხულიგნების ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო „თბილვაჭრობის“ ბროლის მაღაზიის სექციონერის თანამშემწე დ. ეპიტაშვილი, რომელმაც სასაუზმის მახლობლად რესტორან „აღმოსავლეთის“ ადმინისტრატორს პ. შავლოხოვს ფეხი ჩასცა გვერდში. დ. ეპიტაშვილი და ვ. ხითარიანი პირველი თანამგზავრები იყვნენ ხულიგნების, რომლებიც დებოშით მიარღვევდნენ პროსპექტს.

მართალია რუსთაველის პროსპექტზე ხულიგნების თარეში ამჯერად მშვიდობიანად დამთავრდა, მაგრამ ადვილი მოსალოდნელი იყო მისი მსხვერპლი გამხდარიყო ვინმე პატიოსანი მოქალაქე. ყოველივე ეს მოხდა დღისით — მზისით, მაშინ, როცა მოქალაქეთა ხშირი მოძრაობაა, და საოცარი ის იყო, რომ ვერავინ ვერ გაბედა ხულიგნის შეპყრობა. მილიციის მუშაკებმაც კი ვერაფერი შეეპბედეს.

საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაში თვითეული მოქალაქე უნდა მონაწილეობდეს, მოქალაქეთა ერთობლივი მოქმედება ლაგამს ამოსდებს გარეწრებს, მოსპობს ჩვენი საზოგადოების ხორცმეტებს. მკაცრად უნდა დაისჯონ ხულიგნები და ყველა ისინი, ვინც მათ მფარველობას უწევს.

ბ. პეტრიაშვილი.
ხ. ნასყიდაშვილი.